

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კერა“**

შპს კერა
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალის უწყისი	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	3	2,408,481	1,208,714
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(1,806,287)	(820,203)
მთლიანი მოგება		602,194	388,511
ტრანსპორტირების და მიწოდების სხვა ხარჯები		(94,994)	(77,666)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(603,148)	(563,821)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		(25,694)	2,119
სხვა საოპერაციო ხარჯები		(69,182)	(43,445)
საოპერაციო მოგება		(190,823)	(294,302)
ფინანსური ხარჯი		(581,750)	(308,992)
ფინანსური შემოსავალი	6	118,533	141,394
სულ ფინანსური ზარალი		(463,217)	(167,598)
მოგება დაბეგვრამდე		(654,040)	(461,900)
მოგების გადასახადი			-
სულ სრული შემოსავალი		(654,040)	(461,900)

დირექტორი

16 სექტემბერი 2024

შპს კერა
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	686,494	807,356
სულ გრძელვადიანი აქტივები		686,494	807,356
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	398,554	368,253
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	9	144,587	127,380
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	465,578	68,817
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	96,554	119,379
სულ მიმდინარე აქტივები		1,105,273	683,829
სულ აქტივები		1,791,767	1,491,185
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		110,328	117,485
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		(4,156,607)	(3,502,567)
სულ საკუთარი კაპიტალი		(4,046,279)	(3,385,082)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	689,000	317,115
საგადასახადო ვალდებულებები		66,867	80,816
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13	5,082,179	4,478,336
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,838,046	4,876,267
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,791,767	1,491,185

დირექტორი

16 სექტემბერი 2024

შპს კერა
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(605,725)	(461,900)
კორექტირებები :		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	147,909	131,507
ფინანსური შემოსავალი	(18,648)	(26,198)
ფინანსური ხარჯი	581,750	340,941
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(99,885)	(115,196)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	5,401	(130,846)
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	(406,726)	(54,739)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(30,301)	(140,727)
ცვლილებები გადასახადებში	(13,949)	67,779
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	371,233	172,656
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები პროცენტის დარიცხვამდე	(74,343)	(85,876)
მიღებული პროცენტი	10,996	30,925
გადახდილი პროცენტი	(304,106)	(144,509)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(367,452)	(199,460)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითადი საშუალების გასვლიდან	15,260	122,307
ცვლილებები ძირითადი საშუალების მიღებიდან	(42,307)	(169,983)
გაცემული სესხები	-	(149,994)
გაცემული სესხების დაფარვა	2,805	375,674
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(24,242)	178,004
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	503,294	599,267
ნასესხები სახსრების დაფარვა	(218,237)	(461,251)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	285,057	138,017
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(715)	(131)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(107,352)	116,429
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	119,379	2,950
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	12,027	119,379

დირექტორი

16 სექტემბერი 2024

შპს კერა

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**

ძირითადი საქმიანობა

ინფორმაცია გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკაზე

შპს «კერა» (შემდგომში “ჯგუფი”) დაფუძნდა 2016 წლის 16 ნოემბერს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი ი. ჭავჭავაძის გამზირი N49ა.

კომპანიის დამფუძნებლებია:

სვეტლანა დოსკიევა / რუსეთის ფედერაცია/ 8%;

გია წერეთელი / რუსეთის ფედერაცია/ - 24%;

ჯალილა ამოევი - 5%,

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მანიპე - 13%;

იური სამოძელოვი / რუსეთის ფედერაცია/ - 15 %;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ოპიზარი - 20%;

ირაკლი საყვარელიძე - 5%,

კომპანიის დირექტორი - გიორგი ურუშაძე.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ბიო საწვავის წარმოება და ვაჭრობა.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მკვეთრი მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორც ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ჯგუფს არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებადობაზე,

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „კერა“-ს და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელმძღვანელო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორობის კრებებზე.

იმ შემთხვევაში თუ შვილობილი საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან. ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც ჯგუფმა გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალეები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხვული მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას და არის სწრაფად ბრუნვადი რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხვული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- | | |
|------------------------------|-------------|
| 1. ოფისის აღჭურვილობა | 5 წელი |
| 2. ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 წელი |
| 3. სატრანსპორტო საშუალებები | 5 – 10 წელი |
| 4. სხვა ძირითადი საშუალებები | 5 წელი |

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფმა მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახდები.

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. სესხის ძირითადი ნაწილი შედგება საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებული საკრედიტო ხაზისგან, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, ჯგუფი ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს.

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შენიშვნა 3 - შემოსავალი რეალიზაციიდან	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,408,481	1,208,714
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	2,408,481	1,208,714

შენიშვნა 4 - თვითღირებულების ხარჯი	2023	2022
რეალიზებული ბრიკეტების თვითღირებულება	838,127	320,732
სახარჯი მასალები	928,911	466,769
სხვა თვითღირებულების ხარჯი	39,249	32,702
სულ თვითღირებულების ხარჯი	1,806,287	820,203

შენიშვნა 5 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
სახელფასო ხარჯი	236,765	365,861
ცვეთა და ამორტიზაცია	257,076	146,086
საიჯარო ხარჯი	63,458	25,424
საგადასახადო ხარჯი	6,633	8,196
საკონსულტაციო ხარჯი	12,383	2,119
საპენსიო ხარჯი	2,399	4,515
კომუნიკაციის ხარჯი	1,758	2,421
სხვა საერთო ხარჯი	22,676	9,200
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	603,148	563,821

შენიშვნა 6 - ფინანსური შემოსავალი	2023	2022
საპროცენტო შემოსავლები	18,648	26,198
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	99,885	115,196
სულ ფინანსური შემოსავალი	118,533	141,394

შენიშვნა 7 - ძირითადი საშუალებები

საწყისი ბალანსი	დაუმთავრებელი მშენებლობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
თვითღირებულება	1,320	164,231	62,287	193,758	469,591	891,187
ცვეთა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2021	1,320	164,231	62,287	193,758	469,591	891,187
დანამატები	-	30	10,639	113,698	45,616	169,983
აქტივების ჩამოწერა	-	(114)	(14,878)	(143,364)	(95,457)	(253,814)
ცვეთა პერიოდისთვის	-	-	(524)	(35,636)	(95,347)	(131,507)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	524	35,636	95,347	131,507
ბალანსი 31/12/2022	1,320	164,146	58,048	164,092	419,750	807,356
დანამატები	-	-	5,506	490	36,311	42,307
აქტივების ჩამოწერა	-	(10,639)	(12,618)	(79,750)	(25,636)	(128,643)
ცვეთა პერიოდისთვის	-	(40,935)		(24,569)	(82,405)	(147,909)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	169	9,800	21,009	82,405	113,383
ბალანსი 31/12/2023	1,320	112,741	60,736	81,271	430,425	686,494
ბალანსი 31/12/2022	1,320	164,146	58,048	164,092	419,750	807,356
ბალანსი 31/12/2023	1,320	112,741	60,736	81,271	430,425	686,494

შენიშვნა 8 - სასაქონლო მატერიალური მარაგები	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	72,598	76,792
ნედლეული და მასალები	202,257	173,939
სამშრო დანადგარების სათადარიგო ნაწილები და სხვა	123,698	117,522
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	398,554	368,253

შენიშვნა 9 - გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	31.12.2023	31.12.2022
გაცემული სესხები	126,468	116,913
მისაღები პროცენტები	18,119	10,466
სულ გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	144,587	127,380

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	127,380	357,786
სესხის გაცემა	-	149,994
გაცემული სესხის ძირის მიღებები წლის განმავლობაში	(2,805)	(375,674)
მისაღები პროცენტების დარიცხვა	31,008	26,198
პროცენტის მიღება წლის განმავლობაში	(10,996)	(30,925)
საკურსო სხვაობა	-	-
სულ მიღებული სახსრები	144,587	127,380

შენიშვნა 10 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	463,342	66,861
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	2,236	1,956
სულ მიმდინარე მოთხოვნები	465,578	68,817

შენიშვნა 11 - ფული და ფულადი ექვივალენტები	31.12.2023	31.12.2022
ლარი საბანკო ანგარიშზე	80,056	119,256
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	16,498	124
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	96,554	119,379

შენიშვნა 12 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	482,344	95,857
მიღებული ავანსები	710	15,790
გადასახდელი ხელფასები	33,783	42,604
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	172,163	162,864
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	689,000	317,115

შენიშვნა 13 - მიმდინარე სასესიო ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები	3,447,462	2,929,972
სესხები პარტნიორებისგან	79,786	229,535
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	644,727	646,113
გადასახდელი პროცენტები	910,204	672,716
სულ მოკლევადიანი სესხები	5,082,179	4,478,336

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები.

სასამართლო დავა რომელმაც შესაძლოა რომ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოიცავს დავას შემოსავლების სამსახურთან დარიცხულ გადასახადებთან დაკავშირებით. თუმცა მოველით რომ ეს დავა დასრულდება ჩვენს სასარგებლოდ და მისი შედეგები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიის ოპერაციებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა რაც საჭიროებს დამატებით ანგარიშგებაში წარდგენას.